

მეცნიერებების მიმართულების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების
განხორციელების საუკეთესო პრაქტიკა და გამოწვევები

DOI: 10.52340/erp.2024.05.35

აბსტრაქტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დაახლოებით 30-წლიანი პრაქტიკა აქვს. 2024 წლის მარტის მონაცემებით უნივერსიტეტს 92 სამაგისტრო პროგრამა აქვს.

ჩვენი კვლევის ფარგლებში შესასწავლად მიზნობრივად შევარჩიეთ სოციალური მეცნიერებების მიმართულებით არსებული სამაგისტრო პროგრამები, რომელთა აკრედიტაციის პროცესი ჩატარდა 2018-2023 წლებში (40 პროგრამა).

ნაშრომის მიზანია ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალური მეცნიერებების მიმართულების სამაგისტრო პროგრამების ექსპერტთა დასკვნების შესწავლა, მათი განხორციელების პროცესში საუკეთესო პრაქტიკისა და გამოწვევების გამოვლენა.

საკვანძო სიტყვები: სოციალური მეცნიერებები, სამაგისტრო პროგრამები, აკრედიტაცია

შესავალი

საქართველოში უმაღლესი განათლების ახალ 4+2 სისტემაზე გადასვლა განპირობებული იყო ევროპელ პარტნიორებთან თანამშრომლობით და ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში მიმდინარე სიახლეებისთვის ფეხის აწყობის მოტივით.

ბოლონიის პროცესის წევრობამდე „განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველად რედაქციაში (31/07/1997 - 29/12/1997) აკადემიური ხარისხის ჩამონათვალში უკვე გვხვდება ბაკალავრი და მაგისტრი, ხოლო 2005 წლიდან „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის (10/01/2005 - 13/05/2005) პირველ ვერსიაში განმარტებულია ტერმინი მაგისტრატურა, „უმაღლესი საუნივერსიტეტო განათლების მეორე საფეხური; ისეთი

სასწავლო პროგრამების ერთობლიობა, რომელიც აუცილებლად შეიცავს სამეცნიერო კვლევის ელემენტებს და მიზნად ისახავს ბაკალავრის შემდგომი დონის სპეციალისტის ან მკვლევრის მომზადებას;“, მოცემულია მაგისტრატურაში სწავლის მიზნები,, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პედაგოგიური მოღვაწეობისათვის მომზადება; სპეციალობის შეცვლა; კვალიფიკაციის ამაღლება.“ და ხანგრძლივობა,, საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის ხანგრძლივობა არ შეიძლება იყოს ორ წელიწადზე ნაკლები“. აქვე გარდამავალ დებულებებში ნათქვამია, რომ 2006-2007 წლამდე უსდ-ებმა უნდა უზრუნველყონ არანაკლებ ორწლიან საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლა.

უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის ბოლო რედაქციით (27/06/2024) მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა არის, აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის სწავლის შედეგებიც შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-7 დონისათვის განსაზღვრულ განზოგადებულ სწავლის შედეგებს“. კერძოდ, სამაგისტრო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს უნდა შეეძლოს:

ცოდნისა და გაცნობიერების თვალსაზრისით: სწავლის ან/და საქმიანობის სფეროს ღრმა, სისტემური ცოდნის (მათ შორის სფეროს უახლესი მიღწევებისა და კვლევების) კრიტიკული გააზრება-ანალიზი;

უნარების თვალსაზრისით: უახლესი მეთოდებით კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა, ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი, დასკვნების ჩამოყალიბება და მათი წარდგენა, როგორც აკადემიურ ასევე, პროფესიული საზოგადოებისთვის აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით, რთული პრობლემების გადაწყვეტის ორიგინალური გზების ძიება;

პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის თვალსაზრისით: სასწავლო ან/და სამუშაო გარემოს მართვა და ადაპტირება, პროფესიული ცოდნისა და პრაქტიკის განვითარებაში წვლილის შეტანა. სხვების საქმიანობასა და პროფესიულ განვითარებაზე პასუხისმგებლობის აღება; საკუთარი სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა;

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამაგისტრო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება დაახლოებით 1994-1995 სასწავლო წლიდან იწყება. 2024 წლის მარტის მონაცემებით თსუ-ში 92 სამაგისტრო პროგრამაა.

კვლევის მეთოდოლოგია

ჩვენი კვლევის ფარგლებში შესასწავლად მიზნობრივად შევარჩიეთ სოციალური მეცნიერებების მიმართულებით არსებული სამაგისტრო პროგრამები, რომელთა აკრედიტაციის პროცესი ჩატარდა 2018-2023 წლებში (40 პროგრამა). მათი შერჩევისას ვიხელმძღვანელეთ სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ვებგვერდზე მოცემულ სამეცნიერო მიმართულებების კლასიფიკატორს, რომელიც, თავის მხრივ, შეესაბამება ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) და ევროსტატის (EUROSTAT) კლასიფიკაცია და სოციალური მეცნიერებების ფარგლებში აერთიანებდა შემდეგ მიმართულებებს: ფსიქოლოგია, ეკონომიკა და ბიზნესი, განათლების მეცნიერებანი, სოციოლოგია, სამართალი, პოლიტიკური მეცნიერებანი, სოციალური და ეკონომიკური გეოგრაფია, მედია და კომუნიკაცია, სხვა სოციალური მეცნიერებანი.

კვლევა განხორციელდა თვისებრივი კვლევის მეთოდებით, თვისებრივი კონტენტ-ანალიზით მეთოდით შევისწავლეთ სამაგისტრო პროგრამების ექსპერტთა ჯგუფის ანგარიშები.

შესწავლილი მასალის საფუძველზე თსუ-ში სოციალური მეცნიერებების სამაგისტრო პროგრამების განხორციელების პროცესში გამოვლენილ საუკეთესო პრაქტიკებად ექსპერტების მიერ დასახელებულია:

- ინტერნაციონალიზაციის ხარისხი - სტუდენტთა და აკადემიურ პერსონალთა მობილობა და საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცესში უცხოელი კოლეგების მიერ გარე შეფასების განხორციელება;
- განმავითარებელი კოლეგიალური შეფასების მექანიზმი - ე.წ. აკრედიტაციის სიმულაციური ფორმატი.

- პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდაჭერის კომიტეტის ეფექტური ფუნქციონირება;
- შიდა ექსპერტიზა დაინტერესებულ მხარეთა მაღალი ჩართულობით.
- სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ელექტრონული სტუდენტური სამეცნიერო ჟურნალის მაღალი ხარისხი;

აკრედიტაციის ექსპერტების მიერ საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების მიზნით გაცემული რჩევები და რეკომენდაციები წარმოდგენილია თემატური მიმართულებების მიხედვით.

საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო კურსები

- საგანმანათლებლო პროგრამის სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში შეტანილი წვლილის წარმოჩენა;
- კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩოს სამაგისტრო საფეხურის მოთხოვნების შესაბამისად სწავლის შედეგების ფორმულირება;
- სწავლა-სწავლების მეთოდებისა და აქტივობების გამიჯვნა;
- დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის შედეგების საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების წარმოჩენა;
- პროგრამის განვითარების პროცესში საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკისა და უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამების შესწავლა;
- არჩევითი სასწავლო კურსების კომპონენტის მოცულობის გაზრდა, რათა სტუდენტს ჰქონდეს შესაძლებლობა ისარგებლოს დარგის ქვე-მიმართულებების სიღრმისეული შესწავლით და შემოთავაზებული არჩევითი სასწავლო კურსების ფართო სპეცირით თემატური ჯგუფების მიხედვით.
- სისტემური ხასიათის შრომის ბაზრის კვლევის ჩატარება.

სწავლების მეთოდები

- სასურველია, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლის მეთოდის (*PBL*), *Inquiry-based*, რეფლექსური სწავლა-სწავლების მეთოდის გათვალისწინება იმ სასწავლო კურსების ფარგლებში, სადაც ეს რელევანტური იქნება;
- სტუდენტთა ისეთ უნარების გაძლიერება, როგორიცაა: კრიტიკული აზროვნება, ვერბალური და პრაქტიკული უნარები;
- სასურველია, მეტი აქცენტი ანალიტიკური დავალებების გამოყენებაზე (პოლიტიკის დოკუმენტი, ანგარიშები, შედარებითი მიმოხილვები);

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

- პროგრამაზე დაშვების წინაპირობების შესახებ ინფორმაციის მკაფიოდ და საჯაროდ განთავსება, თუ როგორ მოხდება თითოეული კომპონენტისთვის ქულათა რაოდენობის მინიჭება (გასაუბრება, სპეციალობის გამოცდა).

სტუდენტთა შეფასება

- სტუდენტთა შეფასების თვალსაზრისით ძირითად გამოწვევად შეიძლება ჩაითვალოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის #3 ბრძანების (ბრძანება #3, 2007 წლის 5 იანვარი) მოთხოვნებთან შესაბამისობის პრობლემა.

ასე, მაგალითად:

- კვლევითი პროექტი არის სასწავლო კურსი....ნაცვლად ერთჯერადი შეფასებისა უნდა შეფასდეს მრავალჯერადად.
- სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმებში, გარდა ფორმალური და შინაარსობრივი მხარის და პრეზენტაციის კომპონენტისა, წარმოდგენილი უნდა იყოს კვლევის მეთოდოლოგიის რელევანტურებისა და მეცნიერული სიახლის შეფასების კრიტერიუმები.
- რეკომენდებულია გადაიხედოს შეფასების კრიტერიუმები სილაბუსებში, სადაც ფასდება დასწრება აქტივობისგან დამოუკიდებლად....დასწრებით ვერ ფასდება ცოდნა/უნარი/კომპეტენცია და აღნიშნული მიდგომა წარმოადგენს ნონსენს.

- „სამაგისტრო ნაშრომის დაცვის დებულებაში“ (მ.11, პ. 11.7) არსებული ჩანაწერი „სამაგისტრო ნაშრომის არადამაკმაყოფილებლად (F/FX) შეფასების შემთხვევაში, მისი დაცვაზე წარდგენა იმავე სემესტრში დაუშვებელია“ უნდა მოვიდეს შესაბამისობაში მინისტრის 2007 5 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებასთან (მ.4, პ.19), რომლის თანახმად F შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იმავე ნაშრომის წარდგენის უფლებას.
- კვლევითი თემის პრეზენტაციისათვის განისაზღვროს შეფასების კომპონენტის აღწერა და გაიწეროს შესაბამისი კრიტერიუმები და რუბრიკები.
- გაიწეროს დეტალური რუბრიკები, რათა სტუდენტს და ასევე შემფასებელი კომისიის წევრებს ჰქონდეთ სრულყოფილი ინფორმაცია შეფასების სკალაზე და მისაღწევი ხარისხობრივი დონეების შესახებ;

ადამიანური რესურსები

- სასურველია ადამიანური რესურსების განვითარება, არ შემოიფარგლებოდეს მხოლოდ სწავლა-სწავლების მეთოდების შესახებ ჩატარებული ტრენინგებითა და ვორკშოპებით, აკადემიური და მოწვეული პერსონალის განვითარების ხელშეწყობა არამედ ითვალისწინებდეს სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო პირობების (მექანიზმების) შექმნასაც.
- სასურველია მოწვეული პერსონალი მეტად აქტიური იყოს კვლევითი საქმიანობის (როგორც კვლევის წარმოების, ისე გამოქვეყნების) თვალსაზრისით.

საბიბლიოთეკო რესურსები

- სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურის განახლება;
- სილაბუსში სავალდებულო ლიტერატურის სიიდან იმ მასალის ამოღება, რომელიც არ წარმოადგენს აკადემიურ კვლევას და მისი ჩანაცვლება აკადემიური ნაშრომებით;

- რეკომენდაცია, კვლევის მეთოდოლოგიური კურსების სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა შეესაბამებოდეს სფეროს აქტუალურ მიღწევებს და ითვალისწინებს უახლეს კვლევებს მოცემულ სფეროში;
- სილაბუსებში მნიშვნელოვანია წარმოდგენილი იყოს უახლესი კვლევითი პუბლიკაციები დარგობრივი სამეცნიერო ჟურნალებიდან.
- ელექტრონული სამეცნიერო ბაზების შესახებ სტუდენტებთან აქტიური კომუნიკაცია და მათი ცნობიერების ამაღლება;

მატერიალური რესურსები

- შეიძინოს მაღალი კონფიგურაციის კომპიუტერული ტექნიკა, რომლებსაც ექნება დიდ მონაცემთა ბაზების დამუშავების ტექნიკური პარამეტრები;
- სასურველია აუდიტორიების აღჭურვა სწავლის პროცესისთვის აუცილებელი ტექნიკური საშუალებებით.
- სასურველია, რომ უნივერსიტეტმა აღჭურვოს კომპიუტერული ლაბორატორიები როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი კვლევის მონაცემების ანალიზისთვის საჭირო ლიცენზირებული პროგრამებით, რომლებიც სტუდენტებს ულიმიტო და სრულფასოვანი მუშაობის საშუალებას მისცემს;
- მონაცემთა დამუშავების ლიცენზირებული პროგრამული (SPSS, STATA, Nvivo, MAXQDA) უზრუნველყოფა;

კვლევის კომპონენტი

- პროგრამის კვლევითი კომპონენტის გაძლიერების მიზნით, სოციალური კვლევის მეთოდების სავალდებულო სასწავლო კურსი გაიყოს ორ ნაწილად და პროგრამას დაემატოს რაოდენობრივი კვლევის მეთოდები;
- აქცენტი გაკეთდეს კვლევის დიზაინის სისტემატიზირებულ აგებაზე, მათ შორის მეთოდოლოგიის შერჩევაზე, მონაცემების შეგროვება/გაანალიზებაზე;

- სასურველია, რაოდენობრივი კვლევის მეთოდი იყოს სავალდებულო და ისწავლებოდეს რომელიმე სტატისტიკური პროგრამის გამოყენებით;
- ჩვენი რეკომენდაციაა კავშირის გაძლიერება რაოდენობრივ და ხარისხობრივ მეთოდებს შორის ორივე ტიპის კვლევის გააზრების ხელშეწყობის მიზნით;
- მოხდეს სტუდენტების მიერ რაოდენობრივი კვლევისთვის საჭირო უფრო მაღალი დონის უნარ-ჩვევების გამომუშავება, სასურველია პროგრამაში შეიმუშაოს და სავალდებულო გახადოს სტატისტიკის მოკლე შესავალი კურსი, როგორც წინაპირობა რაოდენობითი კვლევის მეთოდების კურსზე დასამვებად. ეს ხელს შეუწყობს საქართველოში რაოდენობრივი კვლევების პოპულარიზაციას..;
- მოხდეს რაოდენობრივი კვლევის შედეგებზე დაფუძნებული სამაგისტრო ნაშრომების პოპულარიზაცია და რაოდენობის გაზრდა;
- რეკომენდებულია, რაოდენობრივი მონაცემების კომპიუტერული ანალიზის კურსი (SPSS, ან STATA) გახდეს სავალდებულო;
- რეკომენდებულია, თვისებრივი მონაცემების დამუშავებისა და ანალიზის კომპიუტერული პროგრამის (NVivo, MAXQDA ან სხვ.) სავალდებულო კურსის დამატება;
- რეკომენდებულია პროგრამის სტრუქტურაში აისახოს კვლევის მიმართულებით კომპონენტები: თვისებრივი მონაცემების ანალიზის და ინტერპრეტაციის მეთოდები, მონაცემთა (თვისებრივი და რაოდენობრივი) დამუშავება და ანალიზი შესაბამისი კომპიუტერული პროგრამებით;

პრაქტიკის კომპონენტი

- სტაჟირების/პრაქტიკის კომპონენტი გაძლიერება, არჩევითი კომპონენტის სახით მეტი დარგობრივი მემორანდუმების არსებობა არასამთავრობო ორგანიზაციებთან, კვლევით ცენტრებთან და საჭიროების შემთხვევაში შესაბამის კერძო სტრუქტურებთან;
- პრაქტიკის განსახორციელებლად, პოტენციურ დამსაქმებლების ფართო სპექტრთან კომუნიკაციის სტრუქტურირებული მექანიზმის შექმნა;

- დაიხვეწოს პრაქტიკის კურსის სილაბუსი და დეტალურად გაიწეროს თითოეული ვიზიტის დროს განსახორციელებელი აქტივობების მიზანი, შინაარსი, საშინაო დავალების ინსტრუქცია;
- მიზანშეწონილია პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის მემორანდუმი/ ხელშეკრულება ითვალისწინებდეს პრაქტიკის მიზანს, ხანგრძლივობას და სტუდენტების რაოდენობას.
- პრაქტიკის დოკუმენტი მოიცავდეს სტუდენტების გადანაწილების მექანიზმებთან ერთად, პრაქტიკის, მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებსაც;

სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

- სასურველია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური არ შემოიფარგლოს მხოლოდ ფორმალური მექანიზმების არსებობით და უფრო გააქტიურდეს ურთიერთთანამშრომლობა პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.
- კოლეგების მიერ სწავლების შეფასება ღია დასწრების გზით, რაც კიდევ უფრო უზრუნველყოფს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას აღნიშნული პროგრამის ფარგლებში;
- სასურველია პროგრამა იყენებდეს განმავითარებელ კოლეგიალურ შეფასებას, რაც გულისხმობს აკადემიური და მოწვეული პერსონალის კოლეგების ღია დასწრებას და ერთმანეთთან უკუკავშირის გაზიარებას, რაც ხელს შეუწყობს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას;
- რეკომენდებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა პროგრამაზე დაკვირვების ფარგლებში, შეიძლება რელევანტური კრიტერიუმები და სწავლის შედეგების შეფასების მდგრადი მექანიზმები, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებას და შემდგომი განვითარების საჭიროებების იდენტიფიცირებას;

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალური მეცნიერებების მიმართულების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების საუკეთესო პრაქტიკად აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ დასახელებულია: ინტერნაციონალიზაციის ხარისხი, განმავითარებელი კოლეგიალური შეფასების მექანიზმები, პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდაჭერის კომიტეტის ეფექტური ფუნქციონირება, საგანმანათლებლო პროგრამების შიდა ექსპერტიზა დაინტერესებულ მხარეთა მაღალი ჩართულობით და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ელექტრონული სტუდენტური სამეცნიერო ჟურნალის მაღალი ხარისხი;

რაც შეეხება გამოწვევებს, ისინი შემდეგი თემატური მიმართულების მიხედვითაა წარმოდეგენილი: საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო კურსები, სწავლების მეთოდები, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სტუდენტთა შეფასება, ადამიანური, საბიბლიოთეკო და მატერიალური რესურსები, საგანმანათლებლო პროგრამების პრაქტიკისა და კვლევის კომპონენტების საორგანიზაციო საკითხები და სწავლების ხარისხის განვითარების მექანიზმები.

გამოყენებული ლიტერატურა:

„განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი

კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩო

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნები

**Best Practices and Challenges in Implementing Master's Programs in Social Sciences at
Ivane Javakhishvili Tbilisi State University**

Abstract

Ivane Javakhishvili Tbilisi State University has approximately 30 years of experience in implementing master's level educational programs. As of March 2024, the university offers 92 master's programs. For this study, we purposefully selected existing master's programs in social sciences, accredited between 2018 and 2023 (40 programs).

The paper aims to analyse expert evaluations of these programs to identify best practices and challenges during their implementation.

Keywords: social sciences, graduate programs, accreditation